



ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია
პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესორი ალიომა ბაკურიძე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფარმაცევტული კოსმეტოლოგიის და პარფიუმერიის მაგისტრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	120 ECTS კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე	სამაგისტრო პროგრამის მიზანი გამომდინარეობს თსსუ-ის მისიიდან და ითვალისწინებს აფთიაქების, პარფიუმერულ-კოსმეტიკური წარმოებების, კოსმეტოლოგიური "სკა" და ესთეტიკური ცენტრებისათვის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, რომელთაც: ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა ადამიანის კანის (ნორმისა და პათოლოგიის დროს), პარფიუმერულ-კოსმეტიკური ნედლეულის გადამუშავების, უსაფრთხო, ხარისხიანი და ეფექტური პროდუქციის (სახის, სხეულის მოვლის, დეფექტების მაკორეგირებელი სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებები და პარფიუმერული პროდუქცია) შემუშავების, დამზადებისა და სერიული წარმოების შესახებ; შეეძლებათ მომხმარებლისათვის უსაფრთხო და ეფექტური პარფიუმერულ-კოსმეტიკური ნაწარმის შერჩევა კანის ბიოლოგიის გათვალისწინებით; დამოუკიდებლად მათი დამზადება, სერიული წარმოება და საწარმოო პროცესების მართვა, ცალკეული და კომპლექსური ტექნოლოგიური პრობლემების გადაწყვეტისათვის ახალი, ორიგინალური იდეების გენერირება, უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი და გზების ძიება, პარფიუმერულ-კოსმეტიკური პროდუქციის რეცეპტურის შედგენის, არსებული ტექნოლოგიების გაუმჯობესების, ახალი რაციონალური ტექნოლოგიების შემუშავების მიზნით, დამოუკიდებლად, თანამედროვე მეთოდებითა და უახლესი მიდგომებით კვლევების ჩატარება, მიღებული შედეგების კრიტიკული ანალიზი, დასაბუთებული დასკვნების გაკეთება, კომუნიკაცია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, ლიბერალური ღირებულებების შეფასების, მათ დამკვიდრებაში

	მონაწილეობის მიღების და შემდგომ ეტაპზე სწავლის გაგრძელება.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს მიღებული ბაკალავრის ხარისხი ფარმაციაში, ქიმიური და საკვები პროდუქტების ტექნოლოგიაში ან აღნიშნულ პროფესიებში იყოს მაგისტრთან გათანაბრებული, რომელმაც გადალახა საერთო სამაგისტრო გამოცდის მინიმალური ზღვარი და წარმატებით ჩააბარა შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები სპეციალობასა და უცხოურ ენაში.
სწავლის შედეგი	შეუძლია პარფიუმერულ-კოსმეტიკური ნედლეულის და პროდუქციის დამზადებისა და სერიული წარმოების პროცესში მომსახურე პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და გარემოს დაცვისადმი სხვების დამოკიდებულებების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.
სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები	<ul style="list-style-type: none"> <li>• დისკუსია/ დებატები,</li> <li>• ჯგუფური (collaborative) მუშაობა,</li> <li>• პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL),</li> <li>• შემთხვევის ანალიზი – (Case study),</li> <li>• დემონსტრირების მეთოდი,</li> <li>• ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი,</li> <li>• ახსნა– განმარტებითი მეთოდი,</li> <li>• ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება,</li> <li>• პრაქტიკული მეთოდები,</li> <li>• ვერბალური მეთოდი,</li> <li>• წერითი მუშაობის მეთოდი</li> </ul>
სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	<p>სტუდენტის/მაგისტრანტის მიერ გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:</p> <p>ა) შუალედურ შეფასებას (სტუდენტის შესასრულებელი ყველა სავალდებულო კომპონენტი, რომელიც გათვალისწინებულია სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსის შესაბამისად);</p> <p>ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.</p> <p>სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც დასკვნითი გამოცდის მაქსიმალურ შეფასებას ეთმობა 40 ქულა. შეფასების მეთოდებიდან ძირითადად გამოიყენება: ტესტური, ზეპირი ან კომბინირებული შემაჯამებელი გამოცდა.</p> <p>არსებობს ხუთი სახის დადებითი და ორი სახის უარყოფითი შეფასება.</p> <p>დადებითი შეფასებებია:</p> <p>ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91-100 %;</p> <p>ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81- 90%;</p> <p>გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71- 80%;</p> <p>დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;</p> <p>ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%.</p> <p>უარყოფითი შეფასებებია:</p> <p>ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის</p>

	<p>უფლება;</p> <p>ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>თანაფარდობა შეფასების სხვადასხვა კომპონენტს შორის განისაზღვრება სამაგისტრო პროგრამის შემადგენელი ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსით. საბოლოო შეფასებაში (შუალედური და საგამოცდო შეფასებათა ჯამი) გამოცდის წილი არ აღემატება 40%.</p> <p>მაგისტრანტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრიტერიუმებით, 100-ქულიანი სისტემით ხდება, აგრეთვე, პრაქტიკის, სამაგისტრო ან/და სხვა სახის ნაშრომების შეფასებაც.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საკვალიფიკაციო კომისიის წევრები სამაგისტრო ნაშრომს აფასებენ 0-100 ქულით. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება დგინდება სამაგისტრო ნაშრომების დაცვის საკვალიფიკაციო კომისიის წევრების მიერ მინიჭებულ ქულათა ჯამის საშუალო არითმეტიკულით.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომის 51 და მეტი ქულით შეფასებისას ნაშრომი ითვლება დაცულად შეფასების ქულათა შემდეგი გრადაციით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>91-100 ქულა – საუკეთესო ნაშრომი,</li> <li>81-90 ქულა – ძალიან კარგი ნაშრომი,</li> <li>71-80 ქულა – კარგი ნაშრომი,</li> <li>61-70 ქულა – საშუალო დონის ნაშრომი,</li> <li>51-60 ქულა – დამაკმაყოფილებელი ნაშრომი,</li> <li>0-50 ქულა – არადამაკმაყოფილებელი ნაშრომი.</li> </ul> <p>სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე საპატიო მიზეზით (ავადმყოფობა და სხვ.) გამოუცხადებლობის შემთხვევაში ნაშრომი დასაცავად შეიძლება წარდგენილ იქნეს 1 თვის განმავლობაში, ან სამაგისტრო ნაშრომების მომდევნო დაცვაზე, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს თანხმობით.</p> <p>საჯარო დაცვაზე სამაგისტრო ნაშრომის 51 ქულაზე ნაკლები შეფასების შემთხვევაში განმეორებითი დაცვა შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომების მომდევნო დაცვაზე, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს თანხმობით.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომი დასაცავად შეიძლება წარდგენილ იქნეს არა უმეტეს ორჯერ, სასწავლო კომპონენტის შენახვით.</p>
--	---